



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/3653-23

04 სექტემბერი, 2023 წელი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა
თავმჯდომარე - გელა ზადრიაშვილი
მოსამართლეები: ირაკლი შენგელია
მაია გიგაური


საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე
საჩივრის ავტორი -
წარმომადგენლები -
მოწინააღმდეგე მხარე -
საჩივრის მოთხოვნა - არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მუდმივმოქმედი
არბიტრაჟი შპს „...“ 2023 წლის 29 მაისის
დადგენილების გაუქმება

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2023 წლის 21 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მომართა სს
და ითხოვა არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მუდმივმოქმედი
არბიტრაჟი შპს „...“) 2023 წლის 29 მაისის
დადგენილების გაუქმება.

2023 წლის 27 ივნისის განჩინებით „ საჩივართან დაკავშირებით
დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „...“ ს
2023 წლის 29 მაისის დადგენილების დედნის
(სათანადოდ დამოწმებული ასლის) და მხარეთა შორის გაფორმებული
ხელშეკრულებების დედნების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლებს წაჭრიდა.

2023 წლის 13 ივლისს მხარემ შეავსო ხარვეზი, რის შემდეგაც თბილისის სააპელაციო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 24 ივლისის განჩინებით სს
საჩივარი არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მუდმივმოქმედი
არბიტრაჟი შპს „...“ 2023 წლის 29 მაისის



დადგენილების გაუქმების თაობაზე, მიღებულ იქნა წარმოებაში.

საჩივარში მითითებულია, რომ

წარმომადგენელი

იმავდროულად არის საარბიტრაჟო სარჩელის განმხილველი არბიტრაჟის

შპს

არბიტრი და ის მუდმივად

თანამშრომლობით კავშირშია აღნიშნულ საარბიტრაჟო ბიუროსთან. საარბიტრაჟო დადგენილების მითითება იმაზე, რომ არბიტრთა სიაში ყოფნა თავისთავად არ წარმოშობს რამე სამართლებრივ ვალდებულებებს მხარეთა შორის, სამართლებრივ აზრს მოკლებულია. ვინაიდან საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსის პრინციპი I-ის თანახმად, არბიტრმა უნდა უზრუნველყოს საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა. ამავე პრინციპის მე-2 ნაწილის თანახმად კი, პირი უნდა დათანხმდეს არბიტრად დანიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ: ა) მას შეუძლია იმოქმედოს მიუკერძოებლად; ბ) მას შეუძლია იმოქმედოს მხარეებისგან, პოტენციური მოწმეებისგან და სხვა არბიტრებისგან დამოუკიდებლად. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსის პრინციპი II-ის თანახმად, არბიტრი მოვალეა განაცხადოს თავისი ინტერესების ან იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მიუკერძოებლობაზე ან გამოიწვიოს მიკერძოებულობის შთაბეჭდილება. პირს, რომელსაც ეთხოვა არბიტრის მოვალეობის შესრულება, თანხმობის მიცემამდე ვალდებულია განაცხადოს: ა) ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური თუ პირადი ინტერესების შესახებ, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს დავის განხილვის შედეგების მიმართ; ბ) მისთვის ცნობილი არსებული თუ წარსული ფინანსური, საქმიანი, პროფესიული ან პირადი ურთიერთობების შესახებ, რამაც შეიძლება მხარეებს შეუქმნას არბიტრის მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის გონივრული ეჭვი. პოტენციურმა არბიტრმა უნდა განაცხადოს იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებიც მას აქვს რომელიმე მხარესთან, მათ ადვოკატებთან, დანარჩენ არბიტრებთან ან/და შესაძლო მოწმეებთან. პირმა, რომელსაც არბიტრის მოვალეობის შესრულება ეთხოვა, უნდა განაცხადოს ასევე მისი ოჯახის წევრების, ამჟამინდელი დამსაქმებლების ან საქმიანი პარტნიორების ურთიერთობების შესახებ აღნიშნულ პირებთან; დ) ნებისმიერი სხვა ურთიერთობის ან ინტერესის შესახებ, რომლის გამჟღავნება მას ევალება მხარეთა შეთანხმებით, საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების ან კანონმდებლობის შესაბამისად.

მიუხედავად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 8.2 პუნქტისა, რომელიც ითვალისწინებდა დათქმას, რომ დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეიძლოა მიემართათ მუდმივმოქმედ არბიტრაჟი, და

აღნიშნულ პუნქტს ხელშეკრულების გაფორმების მომენტში

დირექტორმა მოაწერა ხელი, ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მას არ ჰქონდა აღქმა იმის, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში, აღნიშნული არბიტრაჟის მოქმედი არბიტრი იქნებოდა

ოფიციალური წარმომადგენელი

იმავვე საარბიტრაჟო ბიუროში, სადაც თავადვე არის მოქმედი არბიტრი. კერძოდ,

წარმომადგენელი

არის

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი,

შესაბამისად, ახლად აღმოჩენილი ფაქტობრივი გარემოების გამოვალისწინებით, სს

აშკარად ეზღუდება არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-3 მუხლით განპირობებული თანასწორობის უფლება, ვინაიდან ნებისმიერი არბიტრი რომელსაც დანიშნავს, პირდაპირ თანამშრომლობით



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹²-ე მუხლის მიხედვით, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.


ამავე კოდექსის 356¹³-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო განიხილავს საქმეებს არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა. მამასადამე, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების (დათქმის) დადებისას. შეთანხმებაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. თათბირულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა. ამავე კანონის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო



განხილვის პროცედურით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.


წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით გადაწყვეტის შესახებ. კერძოდ, 2022 წლის 01 მარტის იჯარის ხელშეკრულების 8.2 პუნქტით მხარეთა შორის დავის განმხილველ უწყებად მითითებულია მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
სარეგისტრაციო კოდი

მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა, საჩივარსა და საქმის მასალებში მითითებული მოცემულობიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობის საგანია, რამდენად აქვს კომპეტენცია მუდმივმოქმედ არბიტრაჟ განიხილოს დასახელებული საარბიტრაჟო დავა.

გასაჩივრებულ დადგენილებაში არბიტრაჟმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნა ემყარება 2022 წლის 01 მარტს დადებული იჯარის ხელშეკრულების 8.2 მუხლს - „ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს“

დადგენილებაში მითითებულია, რომ „წარმოდგენილი შესაგებლით სადავოდ გახადა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი კომპეტენციის საკითხი და განაცხადა, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელი არის „ერთ-ერთი არბიტრი და ვიხაიდან არის ინტერესთა კონფლიქტი და მიუკერძოებლობის განცდა, მოპასუხე მხარისთვის მიუღებელია“ სარჩელის განხილვა. 24.05.2023წ. -ს სამდივნოს წარუდგინა პოზიცია და განაცხადა, რომ არ იზიარებდა საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობებს უსაფუძვლოდ გამო. ტრიბუნალმა არ გაიზიარა საარბიტრაჟო მოპასუხის შედავება არბიტრაჟის კომიტენციის თაობაზე თითქოს ს წარმომადგენელი არის შპს .

არბიტრთა სიაში და ამიტომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება ობიექტური. მოქმედი კანონმდებლობით ნიბისმიერი საარბიტრაჟო დაწესებულება და მათ შორის შპს „ახორციელებს მხოლოდ ადმინისტრირებას. საარბიტრაჟო დაწესებულება არ წარმოადგენს დავის განმხილველ ორგანოს და მხარეებს ეხმარება პროცესის ადმინისტრირებაში, წარმოადგენს პროცესის ჩატარების მხარდაჭერას და მხარეთა ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული აქვს საარბიტრაჟო განხილვის წესები. შესაბამისად, დავას იხილავს მხარეთა მიერ არჩეული დანიშნული პირ(ებ)ი (არბიტრ(ებ)ი). არბიტრთა სიაში ყოფნა, თავისთავად არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ ვალდებულებებს მხარეთა შორის. აღნიშნულ დავას გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული განმცხადებლის მოსაზრება, რომ თეონა კუბიშვილის ფაქტორი




(რომელიც დაფიქსირებულია მხოლოდ არბიტრთა სიაში და არანაირად არ არის დასაქმებული მუდმივმოქმედ არბიტრაჟში), ხელს შეუშლის გადაწყვეტილების ობიექტურად მიღებას. აქედან სს „სიის წევრობა, ვერ იქნება საკმარისი წინაპირობა, რომ აღნიშნული საარბიტრაჟო დაწესებულება სს „ის“ სარჩელის განხილვისთვის იცნოს კომპეტენციის არმქონედ.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ საარბიტრაჟო დავის ობიექტური გადაწყვეტილებით დასრულების წინაპირობაა მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ განხილვის პროცესის დროს რომელიმე მხარისადმი მიუმხრობლობა და უფლებრივი პარიტეტის დაცვა, არამედ ასეთი აღქმის არსებობაც, რაც საზოგადოებას და მხარეებს აღუძრავს ნდობას არბიტრაჟისადმი და გადაწყვეტილებაც დატოვებს განცდას, რომ არბიტრმა დავა განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. სასამართლო მიუთითებს, რომ განხილვის გარეგნულად წარმოჩენის ფორმას - აღქმას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც არბიტრაჟები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. არბიტრაჟი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას საზოგადოების ნდობის გარეშე, რადგან სწორედ ნდობაა არბიტრის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო. მოცემულ შემთხვევაშიც ხომ სწორედ ამიტომ მიუთითებს მხარეებმა საარბიტრაჟო დათქმაში დავის განხილვის საარბიტრაჟო წესის შესახებ. განსახილველი საარბიტრაჟო დავა ვერ იქნება სასამართლოს მიერ მიჩნეული ე.წ. ძლიერი და სუსტი მხარეების სამართლებრივ პაექრობად, რადგან მოსარჩელეც და მოპასუხეც იურიდიული პირები არიან და შეგნებული ჰქონდათ დავის არბიტრაჟში გადაწყვეტის მოსალოდნელი შედეგები. ახლა კი საარბიტრაჟო მოპასუხე მიიჩნევს, რომ არბიტრი ვერ იქნება პირუთვნელი მსაჯული თუნდაც იმიტომ, რომ მოსარჩელის წარმომადგენელი იმავე არბიტრაჟის არბიტრია, რომელიც მათ შორის დავას იხილავს. პალატა მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ

წარმომადგენლის -
იმავდროულად „ არბიტრად მუშაობის შესახებ, საჩივრის ავტორისთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის შემდეგ, რასაც გვერდს უვლის საარბიტრაჟო დადგენილება კომპეტენციის საკითხის შეფასებისას. საბოლოო გადაწყვეტილების სრული ლეგიტიმაციისთვის კი აუცილებელია, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობა, თუ ეჭვი რომელიც საფრთხეს უქმნის არბიტრაჟის მიმართ ნდობას და ობიექტურობის განცდას, თავიდან იქნეს აცილებული.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავისას, საარბიტრაჟო განხილვის მთავარ პრინციპებს შორის, რაც პროცესის ეკონომიურობას, დავათა გადაწყვეტის სისწრაფეს და ობიექტურობას გულისხმობს, არბიტრების კვალიფიკაციასა და კეთილსინდისიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ადეკვატური აღქმების არსებობაც, რაც საარბიტრაჟო პროცესისადმი ნდობას განსაზღვრავს. ამიტომ, არბიტრმა უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება, რამაც შესაძლებელია წარმოშვას კითხვები მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი მუდმივმოქმედ არბიტრაჟი



კ" მიერ განხილვის შესახებ, მაგრამ პალატა იზიარებს განმცხადებლის მითითებას ინტერესთა კონფლიქტის არსებობის თაობაზე კონკრეტულ არბიტრაჟთან მიმართებაში, რაც ს. ცნობილი გახდა მხოლოდ საარბიტრაჟო დავის დაწყების შემდეგ, ამიტომ, პალატას მიაჩნია, რომ შემოადინებული ფაქტობრივი გარემოებები კუმულატიურად ბადებს გონივრულ ეჭვს და დასაბუთებული ვარაუდის აღქმას იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის იმავდროულად დავის განმხილველ არბიტრაჟში არბიტრად ყოფნამ. ეს ფაქტორი (მხარის წარმომადგენლის არბიტრობა დავის განმხილველ არბიტრაჟში) მნიშვნელოვანი ინდიკატორია ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესაფასებლად, რაზეც საჩივრის ავტორი მიუთითებს.

სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობა მხარეებს არ უზღუდავს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას და მათი ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზება უფრო ფართო მოცულობით შესაძლებელია დავის სასამართლო განხილვის გზით.

შემოადინებულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ განმცხადებლის (საჩივრის ავტორის) პრეტენზია დასაბუთებელია და უნდა დაკმაყოფილდეს - გაუქმდეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „ს“ 2023 წლის 29 მაისის დადგინდება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ და სს „ს“ შორის დავის განხილვაზე და ცნობილ იქნეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „ს“ კომპეტენციის არმქონედ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁶-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო არბიტრაჟს მოცემულ საკითხზე არ ცნობს კომპეტენტურად, განჩინებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.


სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წინამდებარე დავა მხარეებს შორის განხილული უნდა იქნეს სასამართლო წარმოების წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁶-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განჩინება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12, 356¹²-ე, 356¹³-ე, 356¹⁶-ე მუხლებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს“ საჩივარი არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „ს“ დადგენილების გაუქმების შესახებ, დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „ს“



2023 წლის 29 მაისის N 9135/3 დადგენილება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ;

3. სს „...“ და „...“ შორის საარბიტრაჟო დავის განხილვაზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „ცნობილ იქნეს კომპეტენციის არმქონედ;

4. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:



გელა ბადრიაშვილი

ირაკლი შენგელია

მაია გიგაური

გ. გიგაური